

მწვანე ალტერნატივას კითხვები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წლის 21 ოქტომბერს გამოქვეყნებულ კანონპროექტზე „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“

1. ამ კანონპროექტს ჩაუტარდა რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA). რა იქნა გათვალისწინებული RIA-ს რეკომენდაციებიდან?
2. რამდენად შეესაბამება ნორმატიული აქტების შესახებ კანონის ის ფაქტი, რომ ამ კანონპროექტის თითქმის ყველა თავს ცალკე აქვს ტერმინთა განმარტება?
3. **მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის სფეროში.** 4. *„მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია განსაკუთრებული დაცვის რეჟიმი დაადგინოს ადგილობრივი მნიშვნელობის, შედარებით მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების, იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების, მცენარეთა სახეობების ცალკეული ინდივიდების და მათი საარსებო გარემოს დასაცავად, რომელიც არ ექვევს ამ კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი სპეციალური დაცვის რეჟიმის ქვეშ, თუ კი ეს აუცილებელია ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობის ან ნიადაგდაცვითი ფუნქციიდან გამომდინარე და ეს მნიშვნელოვანია სახეობის და მის საარსებო გარემოს იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.“*
 - კანონპროექტი უშვებს თუ არა, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ შექმნას ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ტერიტორიები (მაგ. ბუნების ძეგლი)?
4. **მუხლი 4. ტერმინთა განმარტება, ა) ბიომრავალფეროვნება**

რატომ არ არის გათვალისწინებული ის ფორმულირება, რომელიც შემოგთავაზეთ და რომელიც უფრო ახლოსაა კონვენციისეულ განმარტებასთან, სტილისტურად უფრო გამართულია, სწორია და უფრო გასაგებია? – „ა) ბიომრავალფეროვნება - დედამიწაზე არსებული ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნება, რომლებიც ბინადრობენ ხმელეთის, წყლისა და ზღვის ეკოსისტემებსა და ეკოლოგიური კომპლექსებში და მათ ნაწილს წარმოადგენენ. მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობის შიგნით (ანუ გენეტიკურ მრავალფეროვნებას), სახეობების მრავალფეროვნებასა და ეკოსისტემების მრავალფეროვნებას.“
5. **მუხლი 4. ტერმინი „ეკოსისტემური სერვისები“** - რომელიც გამოყენებულია ტერმინის „საქმიანობა“ (ლ. ქვეპუნქტი) ახსნაში, სად არის განმარტებული?
6. **მუხლი 4. ზ. ველური მცენარეები** - *„მცენარეთა სახეობები და სუბსპეციები, რომელიც ადამიანის*

ზრუნვის გარეშე იზრდება ბუნებრივ, ნახევრად ბუნებრივ ან ხელოვნურად შექმნილ გარემოში და არ არის მიღებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ან არ მიეკუთვნება სახეობათა ხელოვნური შეჯვარების შედეგად მიღებულ კულტურულ მცენარეთა ჯიშებს. ველური მცენარეები მოიცავს კულტურულ მცენარეთა ველურ მონათესავე სახეობებს, რომლებიც ენათესაებიან ამა თუ იმ კულტურულ მცენარეს და/ან აქვთ უნარი გაცვალონ გენები მათთან“.

- რა მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით გააერთიანეთ სოკოები მცენარეთა სამეფოში?

7. მუხლი 4. - რა განსხვავებაა „მკაცრად დაცულ“ და „დაცულ“ სახეობებს შორის?

8. მუხლი 6. ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ძირითადი პრინციპები. „ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა ხდება საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის გათვალისწინებით და შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით“.

- რა სამართლებრივი მექანიზმით, რომელი პროცედურით არის ეს უზრუნველყოფილი „საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის გათვალისწინება“? მიუთითეთ სამართლებრივი აქტი, მუხლი.

9. მუხლი 6. „ა) უზრუნველყოფილი უნდა იქნას ველური მცენარეებისა და გარეული ცხოველების საბინადრო ტერიტორიის ბიოლოგიური ფუნქციის, არსებული ბუნებრივი სტრუქტურების და პროცესების შენარჩუნება, განვითარება და აღწარმოება“.

- ამ წინადადებაში იგულისხმება, რომ მხოლოდ ხმელეთზე მცხოვრებ სახეობებს ეხება ეს საკითხი?

10. შეესაბამება თუ არა, მე-6 მუხლში მოცემული ქვეპუნქტების დანომვრის წესი საქართველოს კანონს „ნორმატიული აქტების შესახებ“?

11. მუხლი 6. „დ) ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოზე, გამრავლების არეალებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე და დასარწყულებელ ადგილებზე უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას“.

- ხომ არ არის შესუსტებული მოქმედი კანონმდებლობა და თუ არის, პრაქტიკულად რა შედეგები მოჰყვება ამას პრობლემური პროექტების განხორციელებისას?

12. მუხლი 6. „გ) ველური მცენარეები და გარეული ცხოველები, მათი საარსებო გარემო, როგორც ბუნების განუყოფელი ნაწილი დაცული უნდა იქნას ბუნებრივი და ისტორიული განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებით.“

- ველური მცენარეები და გარეული ცხოველები ბიომრავალფეროვნების შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, ეს წინადადება გულისხმობს, რომ „ცხოველი და მცენარე დაცული უნდა იქნას მისი შენარჩუნების გზით?“ ან „ბიომრავალფეროვნება უნდა დაცული იქნას მისი შენარჩუნების გზით?“ ეს არის ამ რეგულირების შინაარსი?

13. მუხლი 6. „დ) ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოზე, გამრავლების არეალებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე და წყლის სასმელ ადგილებზე უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას“.

- მოქმედ კანონში „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, უფრო მკაცრი ფორმულირებაა. გთხოვთ დაასახელოთ მაგალითი, როდესაც მოქმედი ფორმულირება გამოუყენებია სამინისტროს პრინციპული საკითხების გადაწყვეტისას, მაგალითად, ჰესების მშენებლობისას ან წიაღის მოპოვებისას და უარი უთქვამს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გაცემაზე. რა მიზანს ემსახურება არსებული მკაცრი რეგულირების შესუსტება?

14. მუხლი 6. „ე) დაგეგმვის და საქმიანობის პროცესში აუცილებელია ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების გათვალისწინება. დაგეგმვა ისე უნდა განხორციელდეს, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ბუნებრივი ტერიტორიების ერთმანეთისგან იზოლირება ან გაქრობა“.

- რისი დაგეგმვის - საქმიანობის დაგეგმვის? ეს იგულისხმება - „საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში აუცილებელია ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების გათვალისწინება“?
- ბუნებრივი ტერიტორიების ერთმანეთთან იზოლირება მხოლოდ დაგეგმვის პროცესში იკრძალება? განხორციელების დროს შეიძლება?
- ეს აკრძალვა მხოლოდ ხმელეთის ეკოსისტემებს შეეხება, ამ მიზნით წერია „ტერიტორიების“? წყლის ეკოსისტემების ფრაგმენტაციას და გაქრობას ეს კანონპროექტი არ კრძალავს? თუ კრძალავს, მაშინ ასე რატომ არ წერია: საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება ისე უნდა მოხდეს, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ბუნებრივი არეალების/ჰაბიტატების ერთმანეთისგან იზოლირება ან გაქრობა.

15. მუხლი 6. „ვ) ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობა უნდა მოხდეს დასაბუთებული კვოტების დადგენის საფუძველზე, ბუნებრივი რესურსების მდგრადი სარგებლობის პრინციპის გათვალისწინებით. ზ) ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობა ფასიანია, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

- ამ კანონპროექტის მიხედვით, სოკო მცენარეებში გადის და ამიტომ არის ეს წინადადება ამ სახით ჩამოყალიბებული?

16. კანონპროექტის წინა ვერსიაში იყო კარგი „ი“ ქვეპუნქტი, რომლითაც კანონპროექტი აღიარებდა, რომ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო ე.წ. „ზიანის შემცირების პირამიდის“ პრინციპის გამოყენებით. „ი) სახეობებისა და ჰაბიტატებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება ზიანის გამომწვევს. სუბიექტის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზიანის გამოსწორების ღონისძიებებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ახორციელებს სახელმწიფო. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება ზიანის აცილებისა და შემცირების ყველა შესაძლებლობა“.

- რა მიზნით ამოიღეთ ეს ქვეპუნქტი? გთხოვთ დაასახულოთ

17. მუხლი 7. 1. ბიომრავალფეროვნების დაცვის დაგეგმვა „სამინისტრო ბიომრავალფეროვნების

დაცვის ეროვნულ სტრატეგიას და სამოქმედო გეგმის პროექტს შეიმუშავებს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, საჯარო განხილვების საფუძველზე და წარუდგენს საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად“.

- რა წესი და პროცედურა მოქმედებს, ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში?
- როგორ ხდება საჯარო განხილვების შესახებ დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება?
- სად ქვეყნდება პროექტი?
- რამდენი ხნით ადრე?
- კომენტარების ვადა როგორ დგინდება?
- სად ეწყობა საჯარო განხილვა?
- ხდება თუ არა საჯარო განხილვები რეგიონებში?

18. მუხლი 9. გარეულ ცხოველთა სახეობების დაცვა და მუხლი 10. გარეულ ცხოველთა სახეობების დაცვა

- ტერმინთა განმარტების მიხედვით, „გარეულ ცხოველებში“ შედიან ფრინველებიც და მეცნიერულადაც ასეა. აქედან გამომდინარე, რა მოსაზრებით არის ცალკე მე-9 და მე-10 მუხლები, რატომ არ ხდება მათი გაერთიანება?
- რომელ მეცნიერულ დაშვებას ეყრდნობა კლას ფრინველების გამოყოფა ცხოველების სამეფოსგან?
- რას იძლევა ამ ორ მუხლში მსგავსი რეგულაციების განაწილება/გაწერა?

19. მუხლი 10. 2. „ცხოველთა სანადირო სახეობები, რომლებზეც ნადირობა ან რომელთა დატყვევება ნებადართულია, განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. დაუშვებელია გარეულ ცხოველთა მკაცრად დაცულ სახეობა მიენიჭოს სანადირო სახეობის სტატუსი“.

- სად არის ეს აქტი? რატომ არ არის გარდამავალ დებულებებში?
- თუ „ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონის აქტი იგულისხმება“, როგორ უნდა მივხვდეთ?

20. მუხლი 10. 3. „დაშვებულია სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა, გარდა მკაცრად დაცული სახეობებისა. დაუშვებელია მკაცრად დაცული თევზის სახეობების ჭერა, ასევე თევზის დაცული სახეობების სარეწაო მიზნით მოპოვება“.

- ხევისურეთში, მთიულეთში, თუშეთში, სვანეთში კალმახზე სამოყვარულო/სპორტული თევზაობა არის ტრადიციული ბუნებათსარგებლობა. ასეთი რეგულირების დატოვებით, ყველა ადგილობრივს ბრაკონიერად ვაცხადებთ?
- სპორტული მეთევზეობის მიმდევრები არაერთხელ აღნიშნავენ, რომ კალმახზე სპორტული/სამოყვარულო თევზჭერის ბრაკონიერობად გამოცხადების შედეგად, სათევზაო ადგილებში წესიერი მეთევზეები აღარ დადიან; სამაგიეროდ, „ასპარეზი“ დარჩათ ბრაკონიერებს, რომლებიც დენის აპარატებით და სხვა აკრძალული საშუალებებით თევზაობენ. რატომ არ არის მათი თვალსაზრისი გათვალისწინებული? ახსენით მიზეზები.

21. მუხლი 11. ველურ მცენარეთა სახეობების დაცვა.

- რატომ არ ეხება ეს მუხლი „ჩვეულებრივი“ სახეობების დაცვას?

22. მუხლი 11. 3. „საქართველოს ტყის ტერიტორიაზე არამერქნული რესურსებით, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობის წესებს ადგენს საქართველოს ტყის კოდექსი“.

- საქართველოს ტყის კოდექსის რომელი მუხლი?

23. მუხლი 11. 4. „საქართველოს ტყის გარეთ არამერქნული რესურსების მოპოვების საკითხი წესრიგდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს ტყის გარეთ არამერქნული რესურსებით, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობის წესის შესახებ“.

- რომელი გარდამავალი დებულებით არის დადგენილი ამ აქტის მიღება?

24. მუხლი 11. 8. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული ნებართვა არ ათავისუფლებს მის მფლობელს ველურ მცენარეთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

- რას ნიშნავს „მცენარეთა სამყაროს ობიექტი“, გთხოვთ მიუთითოთ ნორმატიული აქტი და მუხლი, სადაც ეს ტერმინია განმარტებული.

25. მუხლი 13. მკაცრად დაცული და დაცული ფრინველების გარემოდან ამოღების საგამონაკლისო საფუძვლები. ამ კანონის მე-9 მუხლით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება გარეულ ფრინველთა მკაცრად დაცულ და დაცულ სახეობების გარემოდან ამოღების შემდეგ შემთხვევებზე: დ) მოსავალზე, შინაურ პირუტყვზე, ტყეზე, თევზჭერაზე/თევზის მეურნეობაზე, წყლის რესურსებზე და სხვა სახის საკუთრებაზე მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით;

- როგორ განისაზღვრება „მნიშვნელოვანი“, რომელი ნორმატიული აქტით? მაგალითად, შაკმა შეჭამა კერძო გუბურის მფლობელის თევზი. რამდენი თევზის შეჭმის შემთხვევაში ექნება უფლება გუბურის მეპატრონეს, რომ შაკი მოკლას?
- რა სახის მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მიაყენოს მკაცრად დაცულმა და დაცულმა ფრინველებმა წყლის რესურსებს? ტყეს? შინაურ პირუტყვს? დაასახელეთ მაგალითები

26. მუხლი 13. „ე) ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.“

- რა ზიანი შეიძლება მიაყენოს მკაცრად დაცულმა ფრინველმა ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებას?

27. მუხლი 13. 3. „ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება სამინისტროს მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით“.

- რატომ მარტივი ადმინისტრაციული წესით? და ამ შემთხვევაში ვისი გადასაწყვეტია, ვინც ასეთი კანონპროექტი დაწერა?

28. მუხლი 15. „მკაცრად დაცული და დაცული ველური მცენარეების ან მათი ნაწილების გარემოდან ამოღების საგამონაკლისო საფუძვლები.

1. ამ კანონის მე-11 მუხლით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება ველური მცენარეების მკაცრად დაცულ და დაცულ სახეობებზე,

ა) რომლებიც ექცევა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთის ფარგლებში,

ბ) რომელიც ექცევა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე“

- კანონის ავტორები ფიქრობთ, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა დაკანონდეს სიტუაცია, რომელიც გვაქვს თბილისის მასშტაბით? „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებობს მსგავსი ჩანაწერი, რომლითაც სარგებლობენ დევლოპერები: ისინი მშენებლობის ნებართვის აღებისას არ ითხოვენ ხეების მოჭრას. თუმცა შენობას აშენებენ ხეებთან ძალიან ახლოს (ხშირად აზიანებენ ფესვთა სისტემას), ხოლო შემდეგ იღებენ მოჭრის ნებართვას იმ საბაბით, რომ „კანონიერად“ აშენებულ შენობას ან „კანონიერი“ მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებას ხელს უშლის ან საფრთხეს უქმნის ხე-მცენარე.
- ვისი წინადადებით მოხდა ამ პუნქტების შეტანა კანონპროექტში?

29. **მუხლი 15. 4.** დასაშვებია მკაცრად დაცული და დაცული ბუნებრივად მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტი, ზეხმელი მერქნიანი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზეც (მხოლოდ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, აღკვეთილის გარკვეულ უბნებზე, და ცულ ლანდშაფტში და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე), რის თაობაზეც გადაწყვეტილებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ შესაბამისი ტერიტორიის მართვის ორგანოები.

- რა უფრო ღირებულია ბიომრავალფეროვნებისთვის - ახალგაზრდა ამონაყარი თუ მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტი, ზეხმელი მერქნიანი მცენარეები?
- მიგაჩნიათ თუ არა კანონპროექტი ავტორებს, რომ მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტი, ზეხმელი მერქნიანი მცენარეებს ბიომრავალფეროვნებისთვის არ აქვთ ღირებულება და ბუნებრივი გარემოდან ამოღება შეუზღუდავად შეიძლება?

30. **მუხლი 16. ცხოველთა სამყაროს დაცვა მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებისას. 3.** „ველურ მცენარეთა დაცვისათვის ახალი პრეპარატების შექმნისას კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა შემუშავდეს გარემოში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარეულ ცხოველთა და მათი საბინადრო გარემოს გამრავლების არეალების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და სარწყულელებელი ადგილების დაცვას“.

- რომელი ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული ასეთი წესის შემუშავება?

31. **მუხლი 16. 4.** ველურ მცენარეთა დაცვის საშუალებების, ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სოფლისა და სატყეო მეურნეობაში გამოსაყენებელი ყველა სახის სხვა პრეპარატების გამოყენების წესები, აგრეთვე აღნიშნული პრეპარატების ნუსხის განსაზღვრასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

- რომელი ნორმატიული აქტით? მიუთითეთ მუხლი.

32. მუხლი 20. სახეობათა დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა

ამ მუხლში წერია: *2. ცხოველთა სამყაროს დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგ ძირითად მოთხოვნათა შესრულება: ა) ბუნებრივ პირობებში გარეულ ცხოველთა სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება; ბ) გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არელების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დაცვა;*

მე-10 მუხლში წერია: *აკრძალულია... „დ) საბინადრო გარემოს, გამრავლების/დასვენების ადგილების, ბუნაგების, სოროების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზების, დასარწყულბელი ადგილების განადგურება, მათ შორის მიგრირებადი სახეობების შემთხვევაში მთლიანი სამიგრაციო გზის გასწვრივ“.*

მე-6 მუხლში წერია: *„დ) ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოზე, გამრავლების არელებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე და დასარწყულბელ ადგილებზე უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას“.*

- მაინტერესებს, რატომ არ არის იდენტური აკრძალვები ამ მუხლებში?

33. მუხლი 16. „3. ველურ მცენარეთა დაცვისათვის ახალი პრეპარატების შექმნისას კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა შემუშავდეს გარემოში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარეულ ცხოველთა და მათი საბინადრო გარემოს გამრავლების არელების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და დასარწყულბელი ადგილების დაცვას“.

- რომელი ნორმატიული აქტი იგულისხმება და რატომ არ არის გარდამავალ დებულებებში?

34. მუხლი 23. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხის სტრუქტურა და მისი დამტკიცების წესი

- რა პრინციპით არ შედის ამ ჩამონათვალში სხვა მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებით დაცული სახეობები, რომელთა წევრიც არის საქართველო (Ramsar, AEW, Bonn, Bat Agreement, ACCOBAMS).

35. მუხლი 24. კომისიების შექმნის წესი. 2. „კომისიებში შეიძლება შეყვანილ იქნას მხოლოდ შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ექსპერტი. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხის კომისიის შემადგენლობაში საჯარო მოხელის სტატუსის მქონე ექსპერტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა რაოდენობის 1/3-ს“.

- როგორ ხდება ამ ექსპერტების კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა? საბაკალავრო დიპლომი საკმარისია? დიპლომის წარმოდგენა საკმარისია, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი საგანი (მაგ. „ზოოლოგია“ ან „გარემოსდაცვითი სამართალი“) არ აქვს გავლილი?

- კომისიაში თუ შედის ძუძუმწოვრების სპეციალისტი, შეეძლება, რომ საკუთარი აზრი გამოთქვას ფრინველებთან ან მცენარეებთან დაკავშირებით? ან ბოტანიკოსს შეუძლია, რომ აზრი გამოთქვას, თუ საკითხი ეხება ცხოველებს?

36. თავი III ზურმუხტის ქსელი, მუხლი 30. სტატუსის მინიჭება.

კანონპროექტის ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშულია: „სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის მიზნით იქმნება განსაკუთრებული კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელი (ზურმუხტის ქსელი), რომელიც წარმოადგენს ბერნის კონვენციის მოთხოვნების დაცვით შექმნილი ზურმუხტის ქსელის ნაწილს“. მე-2 პუნქტში: „ზურმუხტის ქსელი შედგება ზურმუხტის ტერიტორიებისაგან....“ და ა.შ. - ერთი სიტყვით, კანონპროექტში გამოყენებულია ტერმინი „ზურმუხტის ტერიტორია“. უცხო სიტყვათა ლექსიკონის თანახმად, ტერმინი ტერიტორია ნიშნავს „გარკვეულ საზღვრებში მოქცეულ მიწის სივრცეს“. ტერმინი „ტერიტორია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან სიტყვა terra (დედამიწა, მიწა).

- აღნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველოში ზურმუხტის ქსელში მხოლოდ ხმელეთის ეკოსისტემები უნდა შევიდნენ? ამის გამო ხომ არ არის, რომ ახალ ზურმუხტის ქსელის ქართულ საიტებში მდინარეები პრაქტიკულად არ შედიან თუ მხოლოდ ეკონომიკის/ენერგეტიკის სამინისტროს ზეწოლის შედეგია?

37. მუხლი 30. 3. „ბერნის კონვენციის ბიოგეოგრაფიული სემინარის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ზურმუხტის ქსელში ჩართული უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბერნის კონვენციის მე-4 რეზოლუციაში შეტანილი ჰაბიტატებისა და მე-6 რეზოლუციაში შეტანილი სახეობების არეალების მთლიანი ფართობი ან მისი გარკვეული ნაწილი, ისე რომ უზრუნველყოფილი იქნეს ამ ჰაბიტატისა და მისთვის დამახასიათებელი სახეობების კონსერვაციის გრძელვადიანი სახარბიელო სტატუსის შენარჩუნება“.

- ზურმუხტის ქსელში ბერნის კონვენციის მე-4 რეზოლუციაში შეტანილი ჰაბიტატებისა და მე-6 რეზოლუციაში შეტანილი სახეობების ჰაბიტატების შეტანისათვის, აუცილებელია, რომ არსებობდეს ბერნის კონვენციის ბიოგეოგრაფიული სემინარის რეკომენდაცია, თუ სხვა მექანიზმიც არსებობს?
- ბერნის კონვენცია მხოლოდ ამ ერთადერთ შესაძლებლობას განიხილავს?

38. დოკუმენტის ზოგ ნაწილში გამოყენებულია ტერმინი „საკონსერვაციო სტატუსი“ (6-ჯერ), ზოგ ნაწილში - „კონსერვაციული სტატუსი“ (8-ჯერ).

- სხვადასხვა რამ იგულისხმება? იყო თუ არა ეს საკითხი დაზუსტებული ქართული ენის სპეციალისტებთან?

39. 29-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია „სახეობის ბუნებრივი გავრცელების არეალი“. ტერმინი „არეალი“ ნიშნავს გავრცელებას, გავრცელების ადგილს, გავრცელების არეს (იხ. განმარტებითი ლექსიკონი და სხვა წყაროები).

- კანონპროექტის ავტორები ტერმინში „გავრცელების არეალი“ „გავრცელების გავრცელებას“ გულისხმობენ?
- იცით თუ არა, რომ „გავრცელების არეალი“-ს გამოყენებისთვის შეფასებისას სტუდენტებს შეფასებას აკლებენ?

40. მუხლი 30. სტატუსის მინიჭება. „კანონის ამ თავის მიზნებისათვის სახეობის კონსერვაციული სტატუსი გულისხმობს“...

- კანონის ამ თავს დანარჩენი კანონისგან განსხვავებული მიზნები გააჩნია?

41. მუხლი 31. ზურმუხტის ტერიტორიების გამოვლენა და შერჩევა

- როგორ არის უზრუნველყოფილი „ზურმუხტის ტერიტორიების“ გამოვლენისა და შერჩევის პროცესში საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა?
- ინფორმირებისა და მონაწილეობის რა მექანიზმებს სთავაზობს კანონპროექტი დაინტერესებულ საზოგადოებას, გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესს და სამეცნიერო წრეებს? რომელი მუხლით არის ასეთი მექანიზმები შემოთავაზებული?
- როგორ იქნება უზრუნველყოფილი ზურმუხტის უბნის დაარსების გადაწყვეტილების მიღებისას დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა?
- საზოგადოების მონაწილეობის კანონით დადგენილი პროცედურების გარეშე, რამ შეიძლება მოახდინოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროებისა და მათთან დაკავშირებული ფინანსური ორგანიზაციების შეგავლენის შემცირება/პრევენცია, რომლებიც, როგორც წესი, ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი დაცული ტერიტორიების იდეას?

42. მუხლი 33. საკუთრების უფლება „1. ზურმუხტის ტერიტორია შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში.“

- თუ პირიქით იგულისხმება - ზურმუხტის უბანზე (საიტზე) შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრება? თუ ორივე შემთხვევა?

43. მუხლი 33. „2. თუ კი ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსის მინიჭებით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე“.

- რას ნიშნავს „თანასწორობის პრინციპი“, რომელი კანონმდებლობით რეგულირდება ეს საკითხი? გთხოვთ, მიგვითითოთ ნორმატიული აქტი.
- რომელი რეგულაციით ხდება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასება? გთხოვთ, მიგვითითოთ ნორმატიული აქტი.

44. მუხლი 33 „3. თუ კი ტერიტორიისთვის ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსის მინიჭება შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას ფუნქციური დანიშნულებით, მესაკუთრე უფლებამოსილია, საკუთრების უფლების შეზღუდვის ხასიათის გათვალისწინებით, სახელმწიფოსგან მოითხოვოს მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება/გამოსყიდვა სამართლიანი ანაზღაურების პირობის დაცვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

- ზურმუხტის უბნის ფუნქციური დანიშნულება არის სახეობების და ჰაბიტატების დაცვა, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ სტატუსის მინიჭება ამ დანიშნულებას შეუძლებელს გახდის? თუ გულისხმობთ, რომ „შეუძლებელს გახდის ამ ადგილის გამოყენებას მესაკუთრისათვის სასურველი ფორმით“; ან „შეუძლებელს გახდის მესაკუთრისათვის სასურველ სარგებლობის ფორმას“?

45. **მუხლი 34. ზურმუხტის ტერიტორიის მართვა. 2. ზურმუხტის ტერიტორიის მართვა ხორციელდება მართვის გეგმის საფუძველზე. მართვის გეგმა უნდა დამტკიცდეს ტერიტორიის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 6 წლისა.**

- რა გარანტია არსებობს, რომ ტერიტორიის დამტკიცებიდან 6 წლის შემდეგ ამ ადგილის მდგომარეობა უცვლელი დარჩება? 6 წლის განმავლობაში დასაცავი სახეობის/ჰაბიტატის მდგომარეობა არ შეიცვლება?
- რის საფუძველზე არის განსაზღვრული 6 წელი და არა 3 ან 10?
- ზურმუხტის საიტების უმეტესობა, 5-ის გარდა, დაცული ტერიტორიებია. 5 გეგმის შემუშავებას 6 წელი სჭირდება?

46. **მუხლი 35. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება. 5. „იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა მიეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი დანართის საქმიანობას, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საფუძველზე ჩატარებული სკოპინგის ფარგლებში უნდა დადგინდეს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესაძლებლობა. თუ კი სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა ითხოვს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ამ შეფასების შედეგები აისახება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშში.“**

- იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განმახორციელებელი თვლის, რომ საქმიანობისთვის აუცილებელია ზზშ-ს ჩატარება, შეეძლება თუ არა, რომ არ დაელოდოს სკოპინგის გადაწყვეტილებას და ზზშ დაიწყოს/მოამზადოს ადრეულ ეტაპზე? სკოპინგის ანგარიშის მომზადებამდე თავისი სურვილით მოამზადოს ზზშ და მიმართოს სამინისტროს, რომ კომპეტენტურმა ორგანომ შეაფასოს ზურმუხტის ქსელზე მისთვის სასურველი საქმიანობის ზეგავლენის შეფასება? (თუ ასეთი ზემოქმედება - დადგინდა, საქმიანობის განმახორციელებელი აღარ დახარჯავს დროსა და ფინანსებს სკოპინგის ანგარიშის მომზადებაზე). დაახლოებით ანალოგიური რეგულაცია არის დადგენილი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-13 პუნქტით - საქმიანობის განმახორციელებელს, თუ მიაჩნია, რომ II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, უფლებამოსილია სამინისტროს პირდაპირ წარუდგინოს სკოპინგის განცხადება - სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე.

47. „თუ კი სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა ითხოვს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ამ შეფასების შედეგები აისახება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშში“.

ჰაბიტატების დირექტივის მიხედვით, შესაბამისობის შეფასება (Appropriate Assessment, AA) განსხვავდება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისაგან. ეს შეფასებები აუცილებელია განხორციელდეს კოორდინირებულად, ხშირად ისინი ერთობლივადაც ხორციელდება, მაგრამ შესაბამისობის შეფასებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზნები არის სხვადასხვა და ისინი აფასებენ პროექტის ზეგავლენას გარემოს სხვადასხვა

ასპექტზე. ამიტომ არ შეიძლება შესაბამისობის შეფასების ჩანაცვლება გზმ-ით ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით, თუმცა შესაძლებელია მათი პროცედურულად დაკავშირება. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ხომ არ იქნება უპრიანი, რომ კანონპროექტის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქმიანობის განმახორციელებელმა, განცხადებას გზმ ანგარიშთან და სხვა კანონით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად, ცალკე დოკუმენტის სახით წარმოადგინოს ზზმ ანგარიში? ანალოგიური რეგულირება შემოთავაზებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით: საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ განცხადებას, გზმ-ის ანგარიშთან ერთად უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელი ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტები.

48. მუხლი 35. 8. „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ან ელექტროენერჯის სფეროში საქმიანობა, რომელიც არ ხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიაზე, მაგრამ არ გამოირიცხება მისი ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე, ექვემდებარება საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას. 9. ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი ორგანო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას და განმცხადებელს უდგენს ვალდებულებას წარმოადგინოს ზურმუხტის ტერიტორიის შეფასების ანგარიში. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზეგავლენის შეფასებაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალების საფუძველზე“.

- რა მიზნით არის გამოყოფილი მხოლოდ ეს ორი საქმიანობა? სხვა საქმიანობას, რომელიც არ გამოირიცხავს ზემოქმედებას ზურმუხტის ქსელის უბანზე (საიტზე) - მაგალითად, გზის მშენებლობა, არ უნდა დაექვემდებაროს ზზმ-ს?

49. მუხლი 36. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის რეკვიზიტები. „1. ზურმუხტის ტერიტორიაზე საქმიანობის ზემოქმედების შესაბამისი შეფასება უნდა) განახორციელოს ისეთმა სპეციალისტმა, რომელსაც აქვს შესაბამისი შეფასების განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდური შესაძლებლობები“

- როგორ უნდა დასაბუთდეს საჭირო კვალიფიკაცია და სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდური შესაძლებლობები?
- რა მექანიზმებია ჩადებული ინტერესთა კონფლიქტების და კორუფციის პრევენციისათვის?
- შედის თუ არა შესაბამისი ცვლილება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში და განისაზღვრება თუ არა კიდევ ერთი ტიპის საქმიანობის ლიცენზია?

50. მუხლი 36. 1. „შესაბამისი შეფასების განხორციელების და ანგარიშის მომზადების ხარჯებს ანაზღაურებს საქმიანობის განმახორციელებელი ან დამგეგმავი ადმინისტრაციული ორგანო“

- როგორ, რომელი რეგულაციით არის განსაზღვრული ეს ტარიფები ადმინისტრაციული ორგანოსთვის?

51. მუხლი 36. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის რეკვიზიტები. „2. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების (ზზშ) ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს ზზშ-ს სახელმძღვანელო სტანდარტებს“

- რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ეს სტანდარტები? რატომ არ არის ასეთი აქტის (ზზშ მომზადების სახელმძღვანელოს) გამოცემა განსაზღვრული გარდამავალ დებულებებში?

52. თავი IV ბიოსფერული რეგიონის დაარსება და მართვა მუხლი 39. 1. „ბიოსფერული რეგიონის არსი და შექმნის მიზნები. ბიოსფერული რეგიონი წარმოადგენს სახმელეთო ან/და სანაპირო/საზღვაო ეკოსისტემების ტერიტორიას, რომელიც შექმნილია ამ კანონის საფუძველზე და ჩართულია იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ ფარგლებში შექმნილი ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში და რომლის დანიშნულებაც ადამიანსა და ბიოსფეროს შორის ეკოლოგიურად, ეკონომიკურად და სოციალურად დაბალანსებული ურთიერთობის ხელშეწყობა და დემონსტრირება.

- საზღვაო ეკოსისტემის ტერიტორია რას ნიშნავს? (იხ. ზემოთ ტერმინ „ტერიტორიას“ განმარტება).
- კანონპროექტის ამ თავში, ზოგიერთ მუხლში გამოყენებულია ტერმინი „ბიოსფერული რეგიონი“, ხოლო ზოგიერთში - „ბიოსფერული რეზერვატი“, ერთი და იგივე იგულისხმება?
- ბიოსფერული რეგიონი, როგორც უმეტესაც მოხსენიებულია კანონპროექტში, იგივეა, რაც ამ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „ბიოსფერული რეზერვატი“? თუ კი, შედის თუ არა ცვლილებები „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში
- თუ ამ თავით განსაზღვრული დაცული ტერიტორია იქმნება იმ მიზნით, რომ ჩაერთოს „იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ ფარგლებში შექმნილი ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში“, მაშინ რატომ არ ითარგმნება პირდაპირ და სწორად Biosphere reserve - როგორც „ბიოსფერული ნაკრძალი“? იხ. [http://www.unesco.org/new/en/natural-sciences/environment/ecological-sciences/biosphere-reserves/;](http://www.unesco.org/new/en/natural-sciences/environment/ecological-sciences/biosphere-reserves/) <http://www.unesco.org/new/en/natural-sciences/environment/ecological-sciences/biosphere-reserves/main-characteristics/>

53. მუხლი 40. ბიოსფერული რეგიონის შერჩევის კრიტერიუმები

- მე-40 მუხლში „ბიოსფერული რეგიონის შერჩევის კრიტერიუმები“ ჩამოთვლილია 4 კრიტერიუმი, რომლებიც ტერიტორიის ბიოსფერული ნაკრძალის სტატუსის მისანიჭებლად შერჩევის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნან. რეგიონი ყველა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, თუ ერთს მაინც?
- როგორ იქნება უზრუნველყოფილი ბიოსფერული ნაკრძალის დაარსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა?
- როგორი იქნება დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები და რომელი ნორმატიული აქტი აწესრიგებს ამ საკითხს?
- საზოგადოების მონაწილეობის კანონით დადგენილი პროცედურების გარეშე, რამ შეიძლება მოახდინოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროებისა და მათთან დაკავშირებული ფინანსური ორგანოების ზეგავლენის შემცირება/პრევენცია, რომლებიც, როგორც წესი, ეწინააღმდეგებიან დაცული ტერიტორიების იდეას?
- დაექვემდებარება თუ არა ბიოსფერული ნაკრძალის შექმნა სტრატეგიულ გარემოსდაცვით

შეფასებას?

54. მუხლი 42. ბიოსფერული რეგიონის ზონირება. აღნიშნულია, რომ „2. ბიოსფერული რეგიონის ფუნქციების დადგენისა და განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას საზოგადოების ფართო ჩართულობა, მათ შორის, საჯარო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობის და ინტერესთა ჯგუფების და ცალკეული კერძო პირების“.

- რომელი ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები?
- ვინ აქვეყნებს პროექტს, სად ქვეყნდება, რამდენი ხნით ადრე, სად და ვინ ატარებს საჯარო განხილვას და ა.შ.?
- რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ბიოსფერული ნაკრძალის დაფუძნების პროცედურები, დირექტორთა საბჭოს არჩევის, ფუნქციონირების, ხანგრძლივ და მოკლევადიანი სტრატეგიების დაფუძნების პროცედურები?
- რატომ არ არის ასეთი ნორმატიული აქტი გარდამავალ დებულებებში დასახელებული?

55. მუხლი 45. „ადამიანისა და ბიოსფეროს“ ეროვნული კომიტეტი. 1. იუნესკოს „ადამიანისა და ბიოსფეროს“ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის მიზნით იქმნება საქართველოს „ადამიანი და ბიოსფეროს“ (MAB) ეროვნული კომიტეტი, როგორც საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო. MAB-ის ეროვნული კომიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განისაზღვრება მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით.

- რატომ არ არის ასეთი ნორმატიული აქტი გარდამავალ დებულებებში დასახელებული?

56. მუხლი 46. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია 1. „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც მოიცავს შიდა წყლებს (მიწისქვეშა წყლების გარდა), გარდამავალ წყლებს და/ან სანაპირო წყლებს, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებულია და ჩართულია „საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ კონვენციის“ (რამსარის კონვენცია) ფარგლებში შექმნილი საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში“.

- თუ რამსარ საიტი (ანუ რამსარის უბანი) არის ზღვის ნაწილი (სანაპირო წყლები), როგორ შეიძლება, რომ მას ეწოდოს „ტერიტორია“ (ანუ ხმელეთის ნაწილი - იხ. ზემოთ ტერმინ „ტერიტორიის“ განმარტება)
- კანონპროექტის თანახმად, სანაპირო წყლების რა ნაწილი შეიძლება იყოს რამსარის საიტი? ნაპირიდან რა დაშორებაზე შეიძლება ის გრძელდებოდეს?

57. მუხლი 48. 2. „სამინისტრო ამზადებს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის ნომინაციის დოკუმენტს, რომელსაც წარუდგენს რამსარის კონვენციის სამდივნოს“.

- როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მოსახლეობის, ბიზნესის, სამეცნიერო წრეების მონაწილეობა) ამ დოკუმენტის შედგენაში და რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ეს პროცედურები?

58. მუხლი 48. 5. „ჭარბტენიანი ტერიტორიის მართვა ხდება მართვის გეგმის საფუძველზე, რომელსაც

შეიმუშავებს ტერიტორიის მართვის ორგანო და ამტკიცებს მინისტრი“.

- რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება რამსარის უბნის მართვის გეგმის მომზადების ეს პროცედურები?
- როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მოსახლეობის, ბიზნესის, სამეცნიერო წრეების მონაწილეობა) ამ დოკუმენტის შედგენაში

59. მუხლი 49. ჭარბტენიანი ტერიტორიის საკუთრების უფლება. 1. *„საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია შეიძლება დაცული იყოს ეროვნული დონეზე შექმნილი დაცული ტერიტორიით“.*

- მუნიციპალურ დონეზე შექმნილი დაცული ტერიტორიით არ შეიძლება?
- დაცული ლანდშაფტი ეროვნულ დონეზე შექმნილი დაცული ტერიტორიაა?
- სასურველია თუ აუცილებელია, რომ რამსარის უბანი იმავდროულად დაცული ტერიტორიაც იყოს?

60. მუხლი 49. 2. *საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია შესაძლებელია იყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ ან კერძო საკუთრებაში.*

- თუ პირიქით - საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან უბანზე შესაძლებელია იყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ ან კერძო საკუთრება? თუ ორივე ვარიანტი შეიძლება არსებობდეს?

61. მუხლი 49. 3. *„თუ კი საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსის მინიჭებით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია ანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე“.*

- რას ნიშნავს „თანასწორობის პრინციპი“, რომელი კანონმდებლობით რეგულირდება ეს საკითხი?
- გთხოვთ, მიგვითითოთ ნორმატიული აქტი. რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ამ მუხლში მოცემული ზიანის დადგენის მეთოდოლოგია?

62. მუხლი 49. 4. *„თუ კი ტერიტორიისთვის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსის მინიჭება შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას ფუნქციური დანიშნულებით, მესაკუთრე უფლებამოსილია, საკუთრების უფლების შეზღუდვის ხასიათის გათვალისწინებით, სახელმწიფოსგან მოითხოვოს მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება/გამოსყიდვა სამართლიანი ანაზღაურების პირობის დაცვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.*

- საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი უბნის დაარსების მიზანია მისი დაცვა (მუხლი 46, 2). როგორ წარმოგიდგენიათ, რომ სტატუსის მინიჭება ამ დანიშნულებას შეუძლებელს გახდის? თუ გულისხმობთ, რომ „შეუძლებელს გახდის ამ ადგილის გამოყენებას მესაკუთრისათვის სასურველი ფორმით“; ან „შეუძლებელს გახდის მესაკუთრისათვის სასურველ სარგებლობის ფორმას“, მაშინ

ასე რატომ არ დაწერთ?

თავი VI.

63. მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიების დაარსება და მართვა

- უბნის ტერიტორია რას ნიშნავს?
- ამ ტიპის დაცული ტერიტორია მხოლოდ ხმელეთის ეკოსისტემებს შეიძლება მოიცავდეს?

64. მუხლი 50. მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიების შერჩევის კრიტერიუმები

- მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი რომ შეირჩეს, ამ მუხლში ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, თუ მხოლოდ ერთსაც საკმარისია?

65. მუხლი 51. მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიების დამტკიცების პროცედურა. 1.

„მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიის მსოფლიო მემკვიდრეობის ტერიტორიების ნუსხაში შესატანად წარდგენისათვის, შეირჩევა ამ კანონის 50-ე მუხლში განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, სისტემატური მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს, მსოფლიო მემკვიდრეობის ტერიტორიების ინვენტარიზაციას და ტერიტორიების შერჩევას ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე. თუ კი ინვენტარიზაცია არ არის დასრულებული, ეს არ უნდა გახდეს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით იდენტიფიცირებული ტერიტორიის დამტკიცებისათვის ხელისშემშლელი გარემოება.“

- რომელი ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული ამ მუხლში აღნიშნული ინვენტარიზაციის წესი? ვინ ატარებს ინვენტარიზაციას, ვინ აფინანსებს და ა.შ.

66. მუხლი 51. 2. *„სამინისტრო ამზადებს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიის ნომინაციის დოკუმენტს, რომელსაც წარუდგენს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის კომიტეტს.“*

- როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მოსახლეობის, ბიზნესის, სამეცნიერო წრეების მონაწილეობა) ამ დოკუმენტის შედგენაში და რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ეს პროცედურები?

67. მუხლი 51. 4. *„საქართველოს მიერ წარდგენილი ტერიტორიის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ჩართვის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიის ეროვნულ დონეზე შესაბამისი დაცვის, მართვისა და მონიტორინგის უზრუნველყოფისათვის.“*

- ექვემდებარება თუ არა ეს გადაწყვეტილება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას?
- რომელი ნორმატიული აქტით რეგულირდება მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის მართვის გეგმის დამტკიცება?

თავი VII. ველური მცენარეებითა და გარეული ცხოველებით საერთაშორისო ვაჭრობა.

68. მუხლი 53. მოწესრიგების მიზანი. 3. „კონვენციის დანართები მტკიცდება მინისტრის ბრძანებით. მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება კონვენციის მხარეთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, კონვენციის დანართებში ცვლილებების შეტანიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში“.

- კონვენცია პირდაპირი გამოყენების აქტია, ის მალეა დგას, ვიდრე ეროვნული კანონი და მინისტრის ბრძანება. შესაბამისად, რა მნიშვნელობა აქვს მინისტრის მიერ დანართების დამტკიცებას? თუ არ დამტკიცა, კონვენციას მოქმედება შეუჩერდება თუ რა მოხდება?

69. მუხლი 55. 4. „CITES-ის მეორე დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების ლიცენზია“

70. რომელი ნორმატიული აქტებით განისაზღვრება კანონპროექტის 55-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ლიცენზია? „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთ ლიცენზიას არ იცნობს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი:

მუხლი 7. სარგებლობის ლიცენზიის სახეები

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია

71. მუხლი 64. სამეცნიერო საბჭო. 1. კანონის ამ თავით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით იქმნება მინისტრის სათათბირო ორგანო – სამეცნიერო საბჭო. 2. სამეცნიერო საბჭოს მუშაობის წესი განისაზღვრება „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე“ 1973 წლის 3 მარტის ვაშინგტონის კონვენციის (CITES) სამეცნიერო საბჭოს დებულებით“, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

- რატომ არ არის ეს ნორმატიული აქტი გარდამავალ დებულებებში?
- როგორ რეგულირდება საბჭოს დაკომპლექტების წესი, ვინ შეიძლება იყოს ან არ შეიძლება რომ იყოს საბჭოს წევრი? როგორ რეგულირდება ინტერესთა კონფლიქტები?

72. მუხლი 74. კონფისკირებული ნიმუშების განთავსება. 1. „ცოცხალი სახეობის ნიმუშის დაკავების შემთხვევაში ნიმუში გადაეცემა შესაბამისი პროფილის დაწესებულებას დროებით შესანახად, ხოლო კონფისკაციის შემთხვევაში ნიმუშის განთავსების ადგილზე ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროსთან შეთანხმებით და სამეცნიერო ორგანოს რეკომენდაციის საფუძველზე“.

- რომელი ორგანიზაციები იგულისხმება „შესაბამისი პროფილის დაწესებულებაში“ და რა ნორმატიულ აქტზე დაყრდნობით?
- რამდენად კანონიერი იქნება კონფისკირებული ცოცხალი ნიმუშის განთავსება მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ზოოპარკში ან ცხოველთა თავშესაფარში?
- ვინ ანაზღაურებს კონფისკირებული ცოცხალი ნიმუშის შენახვის ხარჯებს და რომელი ნორმატიული აქტით?

თავი VIII გენეტიკურ რესურსებზე და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილება

73. მუხლი 78. *„ეროვნული პასუხისმგებელი ორგანო სამინისტრო არის ნაგოიას ოქმით გათვალისწინებული ეროვნული პასუხისმგებელი ორგანო და ეროვნული უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულება“.*

- როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომელიც პირველად ხედავს ამ ტერმინს (მაგალითად, პარლამენტის წევრი), თუ რას ნიშნავს „ნაგოიას ოქმი“, საქართველოს კანონმდებლობაში სადა არის ეს ტერმინი განმარტებული?

74. მუხლი 78 ეროვნული პასუხისმგებელი ორგანო

ამ მუხლის მე-2 პუნქტი ასე იკითხება:

„სამინისტრო, როგორც რესურსების ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო, უზრუნველყოფს რესურსების ხელმისაწვდომობაზე დაინტერესებული სუბიექტებისათვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

ა. ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ნებართვის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესი და ვადები;

ბ. ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობასთან და სარგებლის განაწილებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები;

გ. მხარეებს შორის დასადაები ხელშეკრულებისათვის წაყენებული მოთხოვნები“.

- რამე ბეჭდური შეცდომაა, თუ რას ნიშნავს, რაც აქ რაც წერია? რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს?

75. მუხლი 79. სარგებლის სამართლიანი განაწილება 1. *„სარგებელი, რომელიც მიღებულია საქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსების გამოყენებით, ასევე რომელიც გამომდინარეობს მათი შემდგომი გამოყენებიდან და კომერციალიზაციიდან, სამართლიანად უნდა გაუნაწილდეს საქართველოს, სამინისტროსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე“.*

- „საქართველოს“ რას ნიშნავს? როგორ უნდა გაუნაწილდეს? მექანიზმს გვთავაზობს კანონი?

76. მუხლი 79. 3. *სარგებელი კანონის ამ თავის მიზნებისთვის შეიძლება იყოს ფინანსური და არაფინანსური, მათ შორის, ნაგოიას ოქმის (სახელწოდება პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ დაზუსტდება) (ამ თავში შემდგომ - ნაგოიას ოქმის) დანართით განსაზღვრული სარგებელი.*

- შესაძლებელია, რომ კანონით განსაზღვრული რეგულაცია ნაგოიას ოქმის შესრულებასთან დაკავშირებით ძალაში შევიდეს ნაგოიას ოქმის რატიფიცირებამდე? თუ რატიფიცირების შემდეგ უნდა შევიდეს, რატომ არ არის ამის შესახებ ინფორმაცია გარდამავალ დებულებებში?

თავი IX. პასუხისმგებლობა ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებულ ზიანზე

77. მუხლი 89. მოწესრიგების მიზანი. 1. *“ამ თავის მიზანია საქმიანობით გამოწვეული სახეობებისა და ჰაბიტატების მნიშვნელოვანი დაზიანების პრევენციისა და აღმოფხვრის სამართლებრივი რეგულირება, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად. 2. სამრეწველო ავარიის ან/და ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობის საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“.*

- საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მხოლოდ უკანონო ქმედებების შედეგად მიყენებულ ზიანს მოაწესრიგებს? რამდენად შეესაბამება შესაბამის ევროკავშირის დირექტივას?
- როგორ უნდა გაარჩიო, სად იწყება ერთი კანონის მოქმედება და სად მთავრდება მეორის?

78. მუხლი 90. საქმიანობით გამოწვეული ზიანი 1. *„საქმიანობა, რომელიც მკაცრად დაცულ და დაცულ სახეობების პოპულაციებზე და ჰაბიტატებზე, ეკოსისტემურ სერვისებზე და ფუნქციებზე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს ან იწვევს უარყოფით შეუქცევად ცვლილებებს, ხორციელდება ალტერნატივების შემოწმების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს, რომ საქმიანობის მიზანი არ მიიღწევა სხვა საშუალებით, რომელიც გამორიცხავს ან მინიმუმამდე დაიყვანს ზიანს“.*

- ეს მუხლი რას არეგულირებს ისეთს, რასაც არ არეგულირებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“?

79. მუხლი 90. 2. *დაუშვებელია საქმიანობა, როდესაც დაგეგმილი საქმიანობის შედეგად შეუძლებელი ხდება ამ კანონით დაცული სახეობების და მისი საარსებო გარემოსათვის მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილება ან გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება და ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის ინტერესები აღემატება საქმიანობის განხორციელების ინტერესებს.*

- რომელი ნორმატიული აქტით დამტკიცებული მეთოდით ხდება ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის ინტერესებისა და საქმიანობის განხორციელების ინტერესების შედარება?

80. მუხლი 90. 3. *„თუ კი საქმიანობა იწვევს ამ კანონით დაცულ ჰაბიტატებზე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას, საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე, საჯარო ინტერესების დაცვის განსაკუთრებული უპირატესი მიზანი ამას ამართლებს და არ არსებობს საქმიანობის სხვა ტერიტორიაზე ან ნაკლები ხელყოფით განხორციელების ალტერნატიული შესაძლებლობა“;*

- რა მეთოდით ხდება ამ პუნქტით განსაზღვრული ინტერესთა შეპირისპირება და რომელი

ნორმატიული აქტით არის ეს წესი განსაზღვრული?

81. **მუხლი 90.** 4. საქმიანობის განხორციელებაზე განსაკუთრებული ინტერესი არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამოწვეულია ... ბ) მაღალი სოციალური ან ეკონომიკური ინტერესებით“.

- ვის სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებზეა საუბარი - კერძო პირის? მაგალითად, კერძო პირს აქვს სურვილი მოიპოვოს წიაღისეული ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ადგილზე. ან გაიყვანოს გზა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში - ეს ამ კანონპროექტის მიხედვით, მიეკუთვნება თუ არა ამ ქვეპუნქტით დაშვებულ გამონაკლისებს?

82. **მუხლი 90.** 7. „ამ მუხლით გათვალისწინებული ალტერნატივების შემოწმების და ინტერესთა შეპირისპირების შედეგები უნდა აისახოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში. თუ კი საქმიანობა არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვებაზე წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს ანგარიშს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე“.

- რომელი ნორმატიული აქტით არის დადგენილი ამ ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, განხილვისა და დამტკიცების წესი?

83. **მუხლი 90.** ვინ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება 90-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში დასაშვებია თუ არა ზემოქმედება კანონით დაცულ ჰაბიტატებზე და სახეობებზე - ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის საჯარო მოხელეებმა? რა კვალიფიკაცია უნდა გააჩნდეს მას ასეთი საკითხების განხილვისათვის?

84. **მუხლი 91.** ზიანის ანაზღაურების წესი 4. პირველადი და სუბსტიტუციური ღონისძიების ჩანაცვლება ფულადი საკომპენსაციო რემედიაციით დასაშვებია თუ: ა) აღნიშნული ღონისძიებები ვერ სრულდება სათანადოდ“.

- თუ საქმიანობის განმახორციელებელი ვერ ან არ ასრულებს პირველად და სუბსტიტუციურ ღონისძიებებს, მაშინ მის მიერ გადახდილი ფულადი კომპენსაცია მოხმარდება ამ ღონისძიებებს? ვინ შეასრულებს?

85. **მუხლი 91.** ზიანის ანაზღაურების წესი 4. „პირველადი და სუბსტიტუციური ღონისძიების ჩანაცვლება ფულადი საკომპენსაციო რემედიაციით დასაშვებია თუ.. ბ) დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან (რაც არაპროპორციულია გარემოსათვის მოტანილ სარგებელთან).“

- თუ ანაზღაურება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, საქმიანობის განმახორციელებელი ცოტა ფულს გადაიხდის და თავისუფალია პასუხისმგებლობისგან? ამ მუხლის გამოყენებით შესაძლებელია, რომ არც ერთი პირველადი ან სუბსტიტუციური ღონისძიება არ შედგეს?

86. **მუხლი 91.** 5 5. საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენის წესი და პროცედურები განისაზღვრება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტით.

- სანამ კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ შევა ძალაში, კანონის ამ თავის აღსრულება როგორ მოხდება?

თავი X. პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის

87. მუხლი 92. პასუხისმგებლობის დაკისრება 1. „ამ კანონით დადგენილი სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის წესების დარღვევა იწვევს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსებით დადგენილ პასუხისმგებლობას“.

- სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსების რომელი მუხლებით? ასეთი რამ მოქმედ კანონმდებლობაში არ არის. თუ ამ კანონპროექტის თანამდევ კანონპროექტებშია, რატომ არ იყო გამოქვეყნებული საჯარო განხილვისთვის?